

# საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია GEORGIAN BAR ASSOCIATION

[WWW.GBA.GE](http://WWW.GBA.GE)



*GBA-Newsletter*

სექტემბერი 2017

ადვოკატის პროფესიული და ინსტიტუციური გარანტიები კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი

## საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი

"3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში-წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით."

საქართველოს პარლამენტმ აკონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მესამე მოსმენით, 117 ხმით მიიღო, სადაც 31-ემუხლის მე-3 პუნქტის რედაქცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.“ კონსტიტუციაში ჩანაწერი მიუთითებს, რომ ადვოკატის პროფესიული და ინსტიტუციური გარანტიები უზრუნველყოფილია.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ „დღევანდელი დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება ადვოკატურის ისტორიაში. საქართველო გახდა მსოფლიოში მეხუთე ქვეყანა რომლის ადვოკატთა კორპუსმა მიიღო კონსტიტუციური გარანტიები. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.“

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი წარმოადგენდა.

## ადვოკატთა ასოციაციამ აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე დისკუსია გამართა მოსამართლეებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან



28 სექტემბერს, ქუთაისში სასტუმროში „ბაგრატი“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით მრგვალი მაგიდა (Bench Bar-ი) გაიმართა - დისკუსია მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს შორის. 2017 წელს ეს არის მსგავსი შეხვედრების რიგით მეცხრე ღონისძიება, სადაც სამივე პროფესიისთვის აქტუალური საკითხები განიხილეს: „ოჯახური ძალადობის საქმეების განხილვის პრობლემატური საკითხები, დაზარალებულის უფლებების დაცვის გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჭრილში. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.“

Bench-Bar შეხვედრას და მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აქტუალური და აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებმა, პროკურორებმა და ადვოკატებმა.

შეხვედრები ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით. მსგავსი შეხვედრები უკვე ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, ანაკლია, თელავი და მომავალშიც იგეგმება.

## საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივა განიხილეს



იურიდიულ საკითხთა კომიტეტში „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადვოკატთა ასოციაციის საკანონმდებლო წინადადება განიხილეს, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების მდივანმა დავით ასათიანმა წარადგინა.

ადვოკატთა ასოციაციას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული, ადვოკატის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯების წაგებული მხარისათვის დაკისრება დავის საგნის არაუმეტეს 4%-ისა, არამართლზომიერი შეზღუდვაა.

აღნიშნული პროცესუალური დანაწესი არ შეესაბამება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩართული პირების, უპირველესყოვლისა, თავად მხარის (მარწმუნებლის/კლიენტის), მისი ადვოკატის და ზოგადად მართლმსაჯულების ინტერესებს, რადგან დაწესებული 4%-იანი შეზღუდვის გამო, ვერ ხორციელდება მოგებული მხარის მიერ რეალურად გაწეული სასამართლო ხარჯების სრულიად სამართლიანი ანაზღაურება და ამით უკანონო უპირატესობა ენიჭება წაგებულ მხარეს, რაც იწვევს ნაკლები ფინანსური რისკის პირობებში, საპროცესო უფლებების ბოროტად გამოიყენების წახალისებას. აღნიშნული ნორმით, უსაფუძვლოდ იზღუდება მოგებული მხარის უფლებები, რომლებიც ვერ ახერხებენ რეალურად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.

ადვოკატთა ასოციაციის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, დაწესებული 4%-იანი ბარიერი უნდა გაუქმდეს სრულად ანდა ალტერნატივის სახით - გაიზარდოს გონივრულ მინიმუმამდე.

იურიდიული კომიტეტის გადაწყვეტილებით, საუკეთესო გამოსავლის მოსაძებნად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაეყრდნობა საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას.

## ადვოკატთა ასოციაციამ სტაჟირების პილოტური პროექტის პრეზენტაცია გამართა



15 სექტემბერს, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში, ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების სისტემის პილოტური პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

. ღონისძიება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების წევრის გიორგი ხატიძის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (EWMI/PROLoG) ხელმძღვანელის გიორგი ჩხეიძის და ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილის ანა ზეცის მისალმებით. დღესვე გაიმართა პირველი ლექცია - „ადვოკატის უნარ-ჩვევები“.

ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების სისტემის პილოტური პროექტი და სასწავლო მოდულები შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (EWMI/PROLoG) დახმარებით.

სავალდებულო სტაჟირების სისტემა გულისხმობს, ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველის, პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებას, სასწავლო და პრაქტიკული კურსის გავლის გზით.

სავალდებულო სტაჟირების სისტემის მიზანია, პროფესიაში გაწევრიანების მსურველთა საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკული ცოდნის და უნარ-ჩვევების გაღრმავება. საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ შესული ცვლილებების შემთხვევაში, ადვოკატობის მსურველი ნებისმიერი პირი, ვინც წარმატებით ჩააბარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას და გადაწყვეტს ჩაბარებიდან 7 წლის განმავლობაში ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, ვალდებული იქნება გაიაროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ

დამტკიცებული, თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან შემდგარი, სავალდებულო სტაჟირების 1 წლიანი პროგრამა.

USAID-ის საქართველოში საქმიანობის შესახებ: უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ დოლარზე მეტის ინვესტიცია ჩადო საქართველოში. USAID-ის პროექტები მიმართულია, მხარი დაუჭიროს საქართველოს ჩამოყალიბებას თავისუფალ და აყვავებულ დემოკრატიადა და მოიცავს ინიციატივებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების და ჯანდაცვისა და განათლების გაუმჯობესებისათვის. USAID ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას უწევს. მეტი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, ეწვიოთ გვერდს: <http://georgia.usaid.gov>

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას რეფორმების და საქმიანობის გასაცნობად კიდევ ერთი დელეგაცია ესტუმრა



11 სექტემბერს ტაჯიკეთის ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია საქართველი კოლეგების საქმიანობის გასაცნობად თბილისს ესტუმრა.

სტუმრები ხუთი დღის განმავლობაში შეხვედრებს გამართავენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილთან, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის და სარევიზიო კომისიების წევრებთან, ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების და კომისიებთან.

ტაჯიკი კოლეგები გაეცნობიან აღმასრულებელი საბჭოს მუშაობის მექანიზმს და ფორმატს, ადვოკატთა ასოციაციის განვითარების სტრატეგიას და მოწყობას, საადვოკატო საქმიანობის ფორმებს, რეგიონულ ოფისებთან ურთიერთობის მექანიზმს, ცენტრალური ოფისის მუშაობის ორგანიზებას, აპარატის სტრუქტურულ განყოფილებებს, საპარლამენტო მდივნოს ფუნქციებს, სასწავლო ცენტრის მუშაობას, სასწავლო პროცესის და ადვოკატთა ტესტირების ორგანიზებას. ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის საქმიანობას, პოლიტიკას და მეთოდებს. ეთიკის კომისიის საქმიანობას, კომიტეტების და კომისიების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს. ადვოკატთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტების და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ტაჯიკეთის ადვოკატთა ასოციაციის გაცნობითი ხასიათის ვიზიტი ორგანიზებული და მხარდაჭერილია „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI)“-ს მიერ.

# სასწავლოცენტრი

## 2017 წლის სექტემბერში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

### თბილისი

14 სექტემბერი – მედიაცია;

15 სექტემბერი – მედიაცია;

16 სექტემბერი – მედიაცია;

18 სექტემბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

18 სექტემბერი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

19 სექტემბერი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

21 სექტემბერი – სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გარიგების ფორმა და საცილო გარიგებები;

22 სექტემბერი – მედიაცია;

22 სექტემბერი – ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, პაციენტის უფლებები;

22 სექტემბერი – საგადასახადო სამართალი;

23 სექტემბერი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

25 სექტემბერი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

25 სექტემბერი – აღკვეთი ღონისძიებები;

26 სექტემბერი – სანივთო სამართალი;

28 სექტემბერი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;

29 სექტემბერი – ვადები და ხანდაზმულობა;

29 სექტემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

### ბათუმი

3 სექტემბერი – კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

### ქუთაისი

10 სექტემბერი – სოციალური შეღავათები.

25 სექტემბერი – სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა: განცხადების, შუამდგომლობები, საჩივრების, შესავალი და დასკვნითი სიტყვების და სხვა დოკუმენტების მომზადება.

## 2017 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

### თბილისი

- 3 ოქტომბერი – ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (2017 წლის მოდული);
- 9 ოქტომბერი – მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 12 ოქტომბერი – სოციალური შეღავათები;
- 13 ოქტომბერი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;
- 16–17 ოქტომბერი – ცალკეულ დანაშაულთა საგამომიებო მეთოდოლოგია;
- 17 ოქტომბერი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 18–19 ოქტომბერი – ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- 18–19 ოქტომბერი – დაქტილოსკოპია, ტრანსოლოგია, ბალისტიკა;
- 20 ოქტომბერი – საგადასახადო სამართალი;
- 20 ოქტომბერი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 23 ოქტომბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 23 ოქტომბერი – მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში;
- 24 ოქტომბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 25–26–27 ოქტომბერი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სპეციალიზებული კურსი);
- 26 ოქტომბერი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება.

### ქუთაისი

- 22 ოქტომბერი – სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გარიგების ფორმა და საცილო გარიგებები;
- 27 ოქტომბერი – ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;
- 30 ოქტომბერი – სანივთო სამართალი (გირავნობა/იპოთეკა, საკუთრების აღიარებისა და რეგისტრაციის საკითხები).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 2 987878 / +995 555070786 / +995 555010605 / +995 555007708

ელ. ფოსტა: [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge) / [education@gba.ge](mailto:education@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33